საგრანტო პროგრამის დანერგვა საქართველოში

ანგარიში შეთანხმებული პროცედურების შესახებ
2005 წლის 31 მარტით, 30 ივნისით, 30 სექტემბრით, 31 დეკემბრით 2006 წლის 30 სექტემბრითა და 31 დეკემბრით დასრულებული კვარტლებისათვის

საგრანტო პროგრამის დანერგვა საქართველოში

სარჩევი

	გვერდი
ფაქტიური აღმოჩენების ანგარიში	3-5

Deloitte.

ფაქტიური აღმოჩენების ანგარიში

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კომპანიას:

ჩვენ ჩავატარეთ თქვენთან შეთანხმებული და ქვემოთ ჩამოთვლილი პროცედურები საგრანტო შენატანებსა და ხარჯებთან მიმართებაში 2005 წლის 31 მარტით, 30 ივნისით, 30 სექტემბრით, 31 დეკემბრით, 2006 წლის 30 სექტემბრითა და 31 დეკემბრით დასრულებული კვარტლებისათვის 2004 წლის 10 ოქტომბერს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის საქართველოში საგრანტო პროგრამის დანერგვის ("გრანტი") შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში. ჩვენი პროექტი განხორციელდა დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად – *4400 ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებაში შეთანხმებული პროცედურების პროექტები.*

ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურების მიზანია მხოლოდ დაგეხმარონ გაერკვეთ რამდენად შესაბამისობაშია საგრანტო პროგრამა საქართველოში საგრანტო პროგრამის დანერგვის ხელშეკრულების მოთხოვნებსა და პირობებთან. ჩვენს მიერ ჩატარებული პროცედურები შეჯამებულია შემდეგნაირად:

1. ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაცია გამოყენებული საერთო საგრანტო თანხის შესახებ 2005 წლის 31 მარტით, 30 ივნისით, 30 სექტემბრით, 31 დეკემბრით, 2006 წლის 30 სექტემბრითა და 31 დეკემბრით დასრულებული კვარტლებისათვის და აგრეთვე ჯამურად გამოყენებული თანხის შესახებ გრანტის წარმოქმნის დღიდან ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული ყოვერკვარტალური ანგარიშებიდან გრანტის გამოყენებასთან დაკავშირებით.
2. ჩვენ შევადარეთ ანგარიშებზე გრანტის თანხების მოძრაობა საბანკო საგადასახადო დავალებებს.
3. ჩვენ შევადარეთ გრანტიდან გაცემული პროგრამასთან დაკავშირებულ ხარჯები დამადასტურებელ დოკუმენტაციას.
4. გრანტიდან დაფინანსებულ თითოეულ პროგრამასთან ან პროექტთან მიმართებაში ჩვენ დავადგინეთ:

   (ა) პროგრამის ბენეფიციარები და პროექტის დანიშნულება, მიზანი და განხორციელების ადგილი;

   (ბ) ახორციელებდა თუ არა შესაფერისი სახელმწიფო უწყება გრანტის თანხების გამოყენებას და ახორციელებდა თუ არა შესაფერისი სახელმწიფო უწყება ან არასამთავრობო ორგანიზაცია პროექტს ან პროგრამას, ასევე შევაფასეთ პროგრამის და პროექტის განსახორციელებლად შესაბამისი უწყების გამოცდილება და შესაძლებლობები;

(გ) პროგრამის, ან პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული საგრანტო სახსრების ოდენობა;

(დ) პროექტის ან პროგრამის საერთო ბიუჯეტირებული ხარჯი, და იმ შემთხვევებისათვის როდესაც პროექტი ან პროგრამა სრულად არ ფინანსდება გრანტით - დამატებითი დაფინანსების წყაროები;

(ე) პროგრამის ან პროექტის განხორციელების სტატუსი და მიმდინარე პროექტების და პროგრამებისათვის (i) არსებული და მოსალოდნელი ხარჯების შეფასება ბიუჯეტთან მიმართებაში და (ii) მიღებული სარგებლის შედარება მოსალოდნელ სარგებელთან;

(ვ) გრანტის სახსრების გამოყენებასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები და მოსალოდნელი შედეგები, გრანტის სახსრების ნებისმიერი სავალდებული გახარჯვის ჩათვლით.

ჩვენი დასკვნები წარმოდგენილია ქვემოთ:

1. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ გამოყენებული საერთო საგრანტო თანხა 2005 წლის 31 მარტით, 30 ივნისით, 30 სექტემბრით, 31 დეკემბრით, 2006 წლის 30 სექტემბრითა და 31 დეკემბრით დასრულებული კვარტლებისათვის შეადგენს 42,855,000 ლარს.

2. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ, პროგრამასთან დაკავშირებული და გრანტიდან დაფინანსებული ხარჯები დასტურდება შესაფერისი დოკუმენტებით, როგორც ეს გრანტის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

3. სამცხე ჯავახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში პენსიების გაორმაგებაზე დაიხარჯა 17,634,316 ლარი, საიდანაც 14,339,325 ლარი დაფინანსდა გრანტით. 482,576 ლარი - სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახთა დადგენაზე, მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებასა და მონაცემთა ბაზის შექმნაზე და 1,693,099 ლარი - უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტებისათვის ვაუჩერების გადაცემის პროგრამაზე დაფინანსდა გრანტის პირველი ტრანშიდან, რამაც ჯამურად 16,515,000 ლარი შეადგინა. 26,340,000 ლარი, რომელიც დაიხარჯა საშუალო სკოლებში მოსწავლეთათვის ვაუჩერების გადაცემის პროგრამაზე, დაფინანსდა გრანტის მეორე და მესამე ტრანშებით, შესაბამისად 19,360,000 ლარი და 6,980,000 ლარი.

Deloitte.

ვინაიდან ზემოთ ნახსენები პროცედურები არ წარმოადგენენ არც აუდიტს და არც მიმოხილვას წარმოებულს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ან მიმოხილვის შესახებ საერთაშორისო სტანდარტების შესამაბისად, ჩვენ არ ვიძლევით რწმუნებას გრანტის რესურსებსა და ხარჯებზე 2005 წლის 31 მარტის, 30 ივნისის, 30 სექტემბრის, 31 დეკემბრის, 2006 წლის 30 სექტემბრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

რომ ჩაგვეტარებინა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ან მიმოხილვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ან მიმოხილვა, ან სხვა დამატებით პროცედურები, შესაძლოა ყურადღება მიგვექცია სხვა საკითხებისათვის, რომელთა შესახებ ინფორმაცია მოგეწოდებოდათ.

ეს ანგარიში ეხება მხოლოდ ზემოთ მითითებულ ანგარიშებსა და საკითხებს და არ ვრცელდება სოცუზრუნველყოფის გაერთიანებული სახელმწიფო ფონდის, სოციალურ დახმარებისა და სახელმწიფო დაქირავების სააგენტოსა და საქართველოს განათლების სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მოცემული ანგარიშის პირველ აბზაცში მითითებული მიზნებისათვის და მხოლოდ თქვენთვის და არ უნდა იყოს გამოყენებული რაიმე სხვა დანიშნულებისამებრ, გარდა იმისა, რომელიც მითითებულია ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის კომპანიასა და საქართველოს მთავრობას შორის 2004 წლის 10 ოქტომბერს დადებულ საქართველოში საგრანტო პროგრამის დანერგვის ხელშეკრულებაში, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2006 წლის 26 ივლისს.

Deloitte & Touche

10 ოქტომბერი 2007